საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/125

ქ. ბათუმი 06 ნოემბერი, 2019 წ.

პროფესორ პაატა კერვალიშვილისთვის ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, წესდების 62–ე მუხლის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№12, 04.10.2019) ამონაწერისა და დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის მოხსენებითი ბარათის (MES 5 19 01360691, 08.10.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ევრო და ხმელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **პაატა კერვალიშვილს** მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.
2. დადგენილება გასაცნობად გაეგზავნოს პაატა კერვალიშვილს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**